

სტუ-ს და კომპანია ELREHA-ს (გერმანია) ერთობლივი სასწავლო-საწარმოო ცენტრის პრეზენტაცია

15 მაისს სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე ჩატარდა ავტომატური მართვის სისტემების სასწავლო-საწარმოო ცენტრის პრეზენტაცია. ასეთი ერთობლივი ცენტრის შექმნას სტუ-სა და გერმანულ კომპანია ELREHA-ს შორის ხელი მოეწერა ჯერ კიდევ 2019 წელს. მისი მიზანია სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების სფეროში სპეციალისტების მომზადება-გადამზადებაში პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის დამყარება და განვითარება და სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების დანერგვა.

თანამშრომლობის შეთანხმება

ელრეჰა შპს „ელექტრონული კონტროლი“-სა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

ელრეჰა შპს „ელექტრონული კონტროლი“ შემდგომში წოდებული როგორც „ელრეჰა“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის დოქტორ ს.ჰამადეს სახით, მოქმედი კომპანიის წესდების საფუძველზე, ერთი მხრივ და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შემდგომში წოდებული როგორც სტუ, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პროფესორ ქეთევან ქოქრაშვილის სახით, მოქმედი უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე, მეორეს მხრივ, შემდგომში ერთად წოდებული როგორც მხარეები, გამოხატავთ რა ორმხრივ ინტერესს განვითარებით მყარი და ხანგრძლივი ურთიერთობები, რათა ხელი შევუწყოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებას ხელოჯნური სიცივის დარგში დავდეთ ეს თანამშრომლობის შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) შემდეგზე:

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი
მის.: საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 77
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესორი
ქ. ქოქრაშვილის

ხელმოწერა:



COOPERATION AGREEMENT

Between ELREHA Elektronische Regelungen GmbH and LEPL Georgian Technical University (GTU)

ELREHA Elektronische Regelungen GmbH, hereinafter referred to as ELREHA, represented by the management, A. Hamadeh, acting on the basis of the Company Charter, on the one hand, and the LEPL Georgian Technical University, hereinafter referred to as GTU, represented by Head of Administration professor Ketik Kokrashvili, acting on the basis of the University Charter, on the other hand, hereinafter both referred to as the "Parties" expressing mutual interest in the development of bilateral relations on a stable and long-term basis to promote the development of science and technology in the Artificial cold field have concluded this Cooperation Agreement (hereinafter - the Agreement) about the following:

7. Details and signatures of the parties

Authorized to sign on behalf of

the ELREHA Elektronische Regelungen GmbH

A. Hamadeh, Managing director

ELREHA
Elektronische Regelungen GmbH
Schweitzer Straße 103 · Tel. 08205/20090
68766 Hockenheim

Signature: *A. Hamadeh*

Hockenheim, 20 03 2019

მაცივრები და ჰაერის კონდიციონერები მუშაობენ გარემოსთვის საზიანო ნივთიერებებზე - მაცივარაგენტებზე, რის გამოც ექვემდებარებიან მუდმივ კონტროლს როგორც ტექნიკური უსაფრთხოების, ისე გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად. ამიტომ აღნიშნული სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ძალიან აქტუალურად დგას ჩვენ ქვეყანაში.

ცენტრის პრეზენტაციასთან დაკავშირებით საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკისა და ჰაერის კონდიციონერების ინჟინერთა ასოციაციის მოწვევით გერმანიიდან ჩამობრძანდა კომპანია ELREHA-ს აღმოსავლეთის განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი ოლაფ

რიხტერი, რომელიც შეხვდა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და მიიღო მონაწილეობა 15 მაისის შეხვედრაში. შეხვედრის დამსწრეთა შორის იყვნენ ა(ა)იპ სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკისა და ჰაერის კონდიციონერების ინჟინერთა ასოციაციის წევრები, პროფესიული განათლების ცენტრების წარმომადგენლები, მაცივარაგენტების შემცველი მოწყობილობების მომხმარებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

შეხვედრის მონაწილენი გაეცნენ ცენტრის ამ ეტაპისთვის შეთანხმებულ სასწავლო პროგრამას, რომელიც მოიცავს 250 სასწავლო საათს, რომელთაგან 138 საათი ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობებს. გარდა ამისა საუკეთესო კურსდამთავრებულები სტაჟირებას გაივლიან გერმანიაში კომპანია ELREHA-ს ბაზაზე.

მონაწილეთა საერთო შეფასებით შეხვედრა იყო მეტად ინფორმაციული, საინტერესო და სასარგებლო.



n	სასწავლო პროგრამის თემა	ხანგრძლივობა, სთ	
		ლექცია	პრაქტიკა
1.	ელექტრონიკის საფუძვლები	40	20
1.1.	ელექტრონული ელემენტების მოქმედების პრინციპი	10	-
1.2.	ავტომატიზაციის სისტემის გადამწოდების ტიპები	10	-
1.3.	ავტომატიზაციის სისტემის ელემენტები	20	20
2.	სამაცივრო ციკლები და საკვანძო წერტილები	20	10
2.1.	უმარტივესი ერთსაფეხურიანი ციკლი	5	-
2.2.	მრავალსაფეხურიანი და კასკადური ციკლები	10	-
2.3.	სამაცივრო სისტემის ავტომატიზაციის მიზნები და ამოცანები	5	-
2.4.	სამაცივრო ციკლის საკვანძო წერტილებში პარამეტრების გაზომვა	-	10
3.	ავტომატური მართვის სისტემები	12	48
3.1.	ციფრული მოდულები	1	10
3.2.	სარეოლუო მოდულები	1	10
3.3.	ანალოგური მოდულები	1	10

3.4.	მაკონტროლებელი მოწყობილობის მუშაობის პრინციპი	4	8
3.5.	სამაცივრო სისტემის დისტანციური კონტროლი	5	10
	სულ:	72	78
4	პროგრამირების საფუძვლები	40	60
	სრული კურსის ჯამი	250	